სხვა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტით განსაზღვრული რეესტრით გათვალისწინებულ სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის/ვაზნის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა

სხვა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტით განსაზღვრული რეესტრით გათვალისწინებულ სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის/ვაზნის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვის გაცემის მიზნით, დაუყოვნებლივ ეცნობება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს.

მოსალოდნელი ვიზიტის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური წერილობით შეტყობინებას იღებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, საქართველოს პარლამენტიდან, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან ან/და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

მნიშვნელოვან სტუმართა მოსალოდნელი ვიზიტების შესახებ შეტყობინების დოკუმენტში, აღინიშნება:

1. იმ პირის (პირების) შესახებ (ვინაობა, თანამდებობრივი მდგომარეობა და/ან დიპლომატიური რანგი), რომელიც ვიზიტად უნდა ეწვიოს საქართველოს;
2. ვიზიტის შესაძლო ხანგრძლივობა;
3. ვიზიტორის თანმხლებ შეიარაღებულ პირთა რაოდენობა და ვინაობა, მათზე განპიროვნებული იარაღის მონაცემების (სახეობა, სატაბელო-ინდივიდუალური ნომერი, კალიბრი და ვაზნების რაოდენობა) მითითებით;
4. კავშირგაბმულობისა და სხვა სპეციალური საშუალებების ტექნიკური და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლითაც აღჭურვილნი იქნებიან ვიზიტორთა თანმხლები პირები.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“

  https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=86

- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის N239 დადგენილება „უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სტუმართა ვიზიტის დროს მათი თანმხლები პირების მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“

  https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284454?publication=0